ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

ბრძანება:**ბ120. 120240591**

თარიღი:**28/02/2024**

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების

დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ე) ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი” 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) ასპინძის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, დანართი 1 - ის შესაბამისად;

ბ) 2025-2028 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი, დანართი 2-ის შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები, 3-6 დანართების შესაბამისად;

2. დაევალოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (უფროსი გიორგი მურადაშვილი) ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი 2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;

გ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის;

დ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიციირების უზრუნველსაყოფად;

ე) რეკომენდაციები ახლადშემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;

ვ) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები, 7-8

დანართების შესაბამისად;

3. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა, ადმინისტრაცულ სამსახურთან ერთად, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასათან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება;

4. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ მხარეებს;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა);

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2024 წლის 27 თებერვლის N05-1202405821 წერილი.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

როსტომ მაგრაქველიძე

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია-მერი